

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01-09/შ/34

(გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT170004140)

ქ. თბილისი

05 მაისი 2017წ.

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა აბულაძის სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7, ს/კ 405155898, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, GE24NB0330100200165022

და მეორეს მხრივ შპს „ჯი თი და კომპანია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ ჩიკვილაძის სახით, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ა. ქურდიანის ქ. N12/14, სკ 401990128, სს „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი: LBRTGE22, ა/ა GE61LB0113172920370000

ერთი მხრივ - „შემსყიდველი“, და მეორე მხრივ - „მიმწოდებელი“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 კარავის და კარვის აქსესუარების შესყიდვა (CPV 37414000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: 15480 (თხუთმეტიათას ოთხას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

3.2 ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართით №1 (ფასების ცხრილი).

3.3 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებას“ მიაწოდოს საქონელი დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) და ტენდერის NAT170004140 ტექნიკური დავალების შესაბამისად.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

ბ) შეამოწმოს მოსახურების გაწევის ხარისხი.

გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

5.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

5.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ ლოჯისტიკის მენეჯერს რატი დალაქიშვილს.

7. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ტექნიკური დავალების შესაბამისად.

7.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

8.3 მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.01 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.4 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ან/და ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით. არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო უხარისხო საქონლის მიწოდება. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით.

8.5 შემსყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს

სახით მიმწოდებელს გადაუხადოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან, 2017 წლის 05 მაისიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი შემსყიდველს.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული
ცენტრების გაერთიანება“

კახა აბულაძე
დირექტორი



„მიმწოდებელი“
შპს „ჯი თი და კომპანია“

ტარიელ ჩიკვილაძე
დირექტორი

2017 წლის 05 მაისის №01-09/მ/34 ხელშეკრულებასთან


ფასების ცხრილი

#	დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	ზომის ერთეუ ლი	რაოდ ენობა	ერთეული ს ფასი	ღირებუ ლება	მწარმოებე ლი და წარმოშობი ს ქვეყანა	მიწოდების ვადები
1	კარავი (CPV 37414000)	კარვის ზომები: 220X250X150 სმ. წყალგაუმტარი თერმო მასალა. ორი შესასვლელი კარით. ორ გვერდზე მწერისგან დამცავი ზადე. არა ბრეზენტის ძირით. ტენტის წონა არაუმეტეს 3 კგ.	ცალი	30	200	6000	H-YU ჩინეთი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
2	კარვის აქსესუარი (საძილე ტომარა) (CPV 37414000)	საძილე ტომარა. ზომა: 210X75 სმ. მასალა: წყალგაუმტარი. გრადუსიანობა: 0-დან -3-მდე. წონა: არაუმეტეს 1 კგ.	ცალი	120	55	6600	H-YU ჩინეთი	
3	კარვის აქსესუარი (საძილე ლეიბი) (CPV 37414100)	საძილე ლეიბი: ზომები: 180X60 სმ. მასალა: წყალგაუმტარი. წონა: არანაკლებ 100 გრ. სისქე: არანაკლებ 1 სმ.	ცალი	120	24	2880	H-YU ჩინეთი	
სულ:						15480		

„შემსყიდველი“
ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული
ცენტრების გაერთიანება“



„მიმწოდებელი“
შპს „ჯი თი და კომპანია“


ტარიელ ჩიკვილაძე
დირექტორი